განმცხადებელი : ნესტან (ნენე) დალაქიშვილი

თარიღი : 25-12-2024

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 5;პრინციპი 7;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ტელეკომპანია "იმედის" სოციალური მედია "ფეისბუქი"

სადავო მასალა : სახელწოდება: ' ,,ნაცმოძრაობის" აქტივისტი ნენე დალაქიშვილი ვარლამ ლიპარტელიანზე " თარიღი: 24.08.2024 გამავრცელებელი მედიასაშუალება: ტელეკომპანია "იმედი" ელექტრონული
ბმული: https://www.facebook.com/photo/?fbid=927787582709543&set=a.576395271182111

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : 2024 წლის 24 აგვისტოს, ტელეკომპანია "იმედის" ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნდა მასალა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მე, ჟურნალისტი, ტელეკომპანია "ფორმულას" პოლიტიკური გადაცემების პროდიუსერი - ნენე დალაქიშვილი ვარ ნაც.მოძრაობის აქტივისიტი. აღნიშნული მასალა ემსახურება მკითხველის შეცდომაში შეყვანას. დამახინჯებულია ჩემი ფეისბუქ სტატუსის კონტექსტი, რამაც ჩემს მიმართ ნეგატიური კომენტარები გამოიწვია. ტელეკომპანია "იმედის" სოციალურ მედიას ზუსტად უნდა მიეთითებინა ზუსტი ინფორმაცია ჩემს საქმიანობასთან დაკავშირებით. ვთვლი, რომ აღნიშნულმა ტელეკომპანიამ მიზანმიმართულად გაავრცელა მცდარი ინფორმაცია ჩემი საქმიანობის შესახებ, რითიც წაახალისა ჩემს მიმართ დისკრიმინაცია.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები